# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 31 აგვისტო 1994 № 44 (119) ფასი 70 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარასკევს შვეიცარიაში ევროტურნირების წილისყრამ თბილისის „დინამოს“ მეტოქედ უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში დაასახელა ავსტრიის „ინსბრუკი“. პირველი თამაში თბილისში გაიმართება. ჩვენს მეტოქეს მეოთხე გვერდზე გაეცნობით, აქ კი წილისყრის სრულ შედეგებს გთავაზობთ:

**უეფას თასი ცდამეთორმეტედფინალი. თამაშები — 13 და 27 სექტემბერს**

ანორთოსისი (კვიპროსი) — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი)
ც.ს.კ.ა. (სოფია, ბულგარეთი)— იუვენტუსი (იტალია)
გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი) — არისი (საბერძნეთი)
არაუ (შვეიცარია) — მარიტიმუ (პორტუგალია)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მარსელი (საფრანგეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)
აპოლონი (კვიპროსი) — სიონი (შვეიცარია)
ტვენტე (ჰოლანდია) — კიშპეშტ ჰონვედი (უნგრეთი)
ვიტესი (ჰოლანდია) — პარმა (იტალია)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — აკრანესი (ისლანდია)
ანტვერპენი (ბელგია) — ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)
ლინფილდი (ჩრდ.ირლანდია) — ოდენსე (დანია)
ასტონ ვილა (ინგლისი) — ინტერი (იტალია)
აინტრახტი (გერმანია) — ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია)
სერენი (ბელგია) — დინამო (მოსკოვი, რუსეთი)
ა.ი.კ. (შვედეთი) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ლაციო (იტალია)
ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — .ეინდჰოვენი
ბოავიშტა (პორტუგალია) — მიუპა 47 (ფინეთი)
გურნიკი (პოლონეთი) — ადმირა ვაკერი (ავსტრია)
როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი) — ნანტი (საფრანგეთი)
ნაპოლი (იტალია)— სკონტო (რიგა, ლატვია)
სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — კოპენჰაგენი (დანია)
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)
რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)
კანი (საფრანგეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
რაპიდი (ბუქარესტი რუმინეთი) — შარლერუა (ბელგია)
დინამო (თბილისი, საქართველო) — ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია)
ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) — მოზერუელი (შოტლანდია)
ბორდო (საფრანგეთი) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
ბლექბერნ როვერსი (ინგლისი) — ტრელებორგსი (შვედეთი)
ბეკეშჩაბა (უნგრეთი) — ტექსტილშჩიკი (კამიშინი, რუსეთი)

**თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი. თამაშები — 15 და 29 სექტემბერს**

პირინი (ბულგარეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰ.ი.კ. (ფინეთი)
კროაცია (ხორვატია) — ოსერი (საფრანგეთი)
გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ჩერნომორეცი (უკრაინა)
აუსტრია (ავსტრია) — ბრანიკი (სლოვენია)
ბოდო გლიმტე (ნორვეგია) — სამპდორია (იტალია)
ბრონდბიუ (დანია) — ტირანა (ალბანეთი)
ჩელსი (ინგლისი) — ვიქტორია (ჩეხეთი)
ვერდერი (გერმანია) — მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი)
ც.ს.კ.ა. (რუსეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ომონია (კვიპროსი) — არსენალი (ინგლისი)
დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) — ტატრანი (სლოვაკეთი)
სარაგოსა (ესპანეთი) — გლორია (რუმინეთი)
სლიგო როვერსი (ირლანდია) — ბრიუგე (ბელგგია)
პორტუ (პორტუგალია) — ლ.კ.ს. ლოძი (პოლონეთი)
ჟალგირისი (ლიტვა) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)

**კვირას ყველა გერმანულმა გაზეთმა დაბეჭდა, რომ ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევი ჯგუფის ტურნირმა შესაძლოა ალბანეთის ნაკრების გარეშე ჩაიაროს. უეფა მიზეზად ამ ქვეყანაში არასტაბილურ ვითარებას ასახელებს.**

## მარადონასა და რომარიოს ამბები

არგენტინა — ნიგერიის მატჩის შემდეგ, დიეგო მარადონა ეფედრინის მიღებაში რომ ამხილეს, ორი თვე გავიდა. ამ ხანაში ფიფა-ს სიტყვაც არ დაუძრავს ფეხბურთელის დისკვალიფიკაციის თაობაზე. სხვაგან არ ვიცი, მაგრამ მარადონას თბილისელი გულშემატკივრები ერთობ იმედიანად იყვნენ. რამდენიმე მათგანმა რედაქციაშიც დაგვირეკა: ფიფა-მ დიეგოს ბოდიში მოუხადა და დისკვალიფიკაციაზე საერთოდ ლაპარაკი არ იქნებაო — გვაცნობა. იმედიანად იყო თვად ფეხბურთელიც: როცა საქმე გაირჩევა, ჩემი ადვოკატი მარკოს ფრანკი ფიფა-ს დაუმტკიცებს, რომ ნაკრების ექიმს წამლები აერია და ეფედრინი შემთხვევით შემომაჩეჩაო.

და აი, 24 აგვისტოს, ციურიხში, ფიფა-ს სადისციპლინო კომისია დახურულ კარს მიღმა იხილავდა თითქმის სამი საათის განმავლობაში მარადონას საქმეს. სხდომას ესწრებოდა ფიფა-ს 13 ოფიციალური პირი. ფეხბურთელის ინტერესებს იცავდა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა, ხოლო ადვოკატ ფრანკის კარი ცხვირწინ მიუხურეს.

კომისიამ მარადონას 15-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცა და 15 ათასი დოლარის გადახდაც დააკისრა. სასჯელი ძალაშია 1994 წლის 30 ივნისიდან და ვადა 1995 წლის 30 სექტემბერს გაუვა. იმ დროისთვის მარადონას 35 წლამდე ერთი თვე დააკლდება.

მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს რომარიოს კი დასვენება გაუტკბა. იგი შვებულებას ბრაზილიაში ატარებდა, არაფერს იკლებდა და ერთხელ საჩვენებელ თამაშზე გასახდელში ერთ ვეტერან ფეხბურთელს შემოელახა კიდეც. ამასობაში რომარიომ სამი კვირა დააგვიანა „ბარსელონას“ საწვრთნელ შეკრებაზე ჩასვლა. ოთხშაბათს ბრაზილიელი ბარსელონაში დაბრუნდა, მოინანია ცოდვები და განაცხადა, რომ „ბარსელონასთან“ მისი ორწლიანი კონტრაქტის ბედი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მწვრთნელ კრუიფზე.

კრუიფი კი სულ ცოფებს ყრიდა. თავიდან რომარიოს გუნდიდან გაგდებას უპირებდა, შემდეგ აზრი შეცვალა, და მაგას „ბარსელონას“ სარეზერვო შემადგენლობაში გადავიყვან, მის ნაცვლად კი ჩემს შვილს, ჯორდის ვათამაშებ, რომელიც ბოლო ხანს ნამეტანი გაძლიერდაო. კლუბის პრეზიდენტმა ხოსე-ლუის ნუნიესმა სანქციებზე სიტყვა არ დასძრა. რომარიო ჯერ კრუიფს მოელაპარაკოს და მერე ვნახოთო.

იმასაც ამბობენ, რომარიო ჩუმ-ჩუმად „ტორინოს“ ეკურკურებოდაო. იტალიელებს მისი გამოსყიდვა სურდათ 8 მილიონ დოლარად, რათა შემდეგ სამმაგ ფასად „მილანისთვის“ მიეყიდათ. რომარიომ უარყო ეს ჭორები და დაადასტურა, რომ მისი მომავალი კრუიფთან საუბარზეა დამოკიდებული.

# პაპები არ შეურცხვენიათ...

**ნახევარი საუკუნის წინ რუმინეთში სტუმრად მყოფმა თბილისის დინამოელებმა სამივე მეტოქე მიანგრ-მოანგრიეს და ძლევამოსილნი დაბრუნდნენ შინ, ბორის პაიჭაძეს კი „ფეხბურთის კარუზო“ შეარქვეს. ეს დინამოელთა პირველი სტუმრობა იყო ევროპაში. შარშანდელი დრამის მერე უცხოეთში პირველივე გასვლამ კვლავ რუმინეთში მოგვიწია და „კარუზოს შვილიშვილებმა“ წინაპარი არ შეარცხვინეს: რუმინელები კვლავ პირშიჩალაგამოვლებულნი დატოვეს.**



ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების ილია ბაბუნაშვილისა და მამუკა კვარაცხელიას რეპორტაჟი რუმინეთიდან.

რუმინელმა კოლეგებმა ბუქარესტის აეროპორტშივე დაგვახვედრეს ცინცხალი ცნობები „უნივერსიტატიას“ შესახებ და თანაც დასძინეს, „დინამო“ თუ ვერ გააგდო, ციკლიანუს ხსნიანო. გივი ნოდიას კეთილი გულის ამბავი კი ვიცოდით, მაგრამ მისთვის მაინც არაფერი დაგვიმალავს.

ციკლიანუს, ეტყობა, ადგილი არ ეთმობოდა და „დიდი მანევრებისთვის“ მიუმართავს — მარცხენა ნახევარმცველი მიტრიცა მარჯვნივ გადმოიყვანა, კოჟოკარუ სბურლიათი შეცვალა, კალინის ნაცვლად კი განე ათამაშა.

არც რუმინელ ფეხბურთელებს ეთმობოდათ ექვსი ათასი დოლარი; გასაგები ჟინიანობის გარდა საკმაოდაც ითავხედეს და „იძველბიჭეს“. ისინი პირველი წუთიდანვე ეკვეთნენ ჩვენების კარს, მაგრამ დინამოელთა გოლმა ისე გააბრუა, თითქოს თავში რკინის კეტი ჩასცხესო. რუმინელთა გუნდში ყველაზე სუსტმა რგოლმა — დაცვამ მატჩის დასაწყისშივე შეცდომა დაუშვა: მარცხნიდან ქინქლაძის მოჭრილ პასს წამოეგო და ყაველაშვილი, ფაქტიურად, პირისპირ გაიყვანა მეკარესთან. მიშამ ქუსლით წინ გადაიგდო ბურთი, ცრუ მოძრაობით არკანუც უსაქმოდ დატოვა და, რომ მეგონა, შეაგორებს-მეთქი, ძლიერი დარტყმით ცხრიანში გაახვია ბურთი. გოლს რუმინელთა მხრიდან მსაჯისადმი აქტიური პროტესტი მოჰყვა: თამაშგარესა და ხელით თამაშს იმიზეზებდნენ, მაგრამ ხოსე მარია გარსია არანდა-ელსინორი მტკიცედ დაუდგა და ცენტრისკენ მიუთითა.

**მიხეილ ყაველაშვილი: ერთხანს ოფსაიდი მეგონა, არ გამიხედავს, მაგრამ ცალი ყური არბიტრისკენ მქონდა, მეგონა, ან ახლა დაუსტვენს, ან ახლა-მეთქი. სასტვენის ხმა რომ ვერ გავიგონე, მეკარეც მოვატყუე და ამ დროს ბურთი ოდნავ ამიხტა ამიტომაც შეგორების ნაცვლად ცხრიანში გაეხვია. რაც შეეხება ხელით თამაშს, ნამდვილად მომხვდა ხელზე, ოღონდ ეს ხელით თამაში არ იყო და არც გავლენა მოუხდენია ბურთის ტრაექტორიაზე. ამ გოლს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, უზომოდ გამიხარდა, ოღონდ გავიფიქრე: ნეტავ მამაჩემი მოსწრებოდა ამას-მეთქი.**

გაშვებული გოლის შემდეგ რუმინელები ინერციით განაგრძეს თამაში და სანდუს მიერ დარტყმული ჯარიმა, რომელიც ზოიძემ მოიგერია, ერთადერთი შემაშფოთებელი ეპიზოდი იყო პირველ თხუთმეტ წუთში. ფრთაშესხმული დინამოელები კი მომენტს მომენტზე ქმნიდნენ მეტოქის კართან, მაგრამ ქართულ-დარდიმანდურად ან კარს აცილებდნენ, ანაც მეკარეს ახურებდნენ: ჯერ არჩილმა ორ მცველთან ბრძოლაში ვარდნით დაარტყა ბურთი, რომელიც მეკარემ მოიგერია, მერე ჯამარაული შოთას პასით მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და კარს გადააცილა ბურთი, შემდეგ არჩილის პასით ქინქლაძე მარჯვენა ფეხით მეკარეს ახვედრებს ბურთს, მალევე შოთას დრიბლინგი მარცხენა ფრთაზე და პასი საჯარიმოში, ქინქლაძე ჰაერში დაწოლილი ეფექტურად ურტყამს, კვლავ ხარიხას ზემოთ. მეოცე წუთზე რუმინელები გონს მოვიდნენ: მიტრიცა მარჯვენა ფლანგიდან სახიფათოდ უტევს — მის დარტყმას ზოიძე იგერიებს, სბურლიას დარტყმას კი შელია. მალე სტინგას ძლიერი დარტყმა გადასცდა ხარიხას, კრაიოვეანუს ჯარიმას კი ზოიძე ადგილზე ხვდება. ტაიმის ბოლო ათმა წუთმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა: ჯერ არჩილი ცდილობს ტექნიკური დარტყმით კუთხეში შეაგდოს ბურთი, მაგრამ იგი მცველს ხვდება და კუთხურზე გადადის, შემდეგ კი ქინქლაძის მიერ კრაიოვეანუსთან სახიფათო თამაშის გამო ჩვენს საჯარიმოში პენალტის ნიშნულთან თავისუფალი იდება. მსაჯი თავად ითვლის ცხრა მეტრს და დინამოელთა კედელს ლამის კარის ხაზზე აყენებს. დარტყმას შელია მატროსოვივით მკერდით ეფარება. ტაიმის მიწურულს ყაველაშვილი მარცხნიდან სოლო-რეიდს ახორციელებს და კარში ურტყამს, მაგრამ ბურთი აეჭრება და შოთას სულ ცოტა აკლდება, კარში შეაგოროს. აქვე დინამოელთა კონტრშეტევისას ოთხი ქართველი ორ რუმინელზე გადის, მაგრამ ჩქარობენ და ქინქლაძის პასით ჯამარაული თამაშგარეში ხვდება. ფორტუნა აფრთხილებს დინამოელებს და ბოლო წამებზე გოლისგან იხსნის — ჩვენი მეკარე ლამის იყო სიცოცხლის რისკის ფასად ეუფლება ბურთს, რადგან უნგური გაშლილი ფეხით, ფაქტიურად, მოსაკლავად გასრიალდა ირაკლისკენ, რომელიც რამდენიმე წამში შეიტყობს, რომ ქალიშვილის მამა გახდა.

შესვენებაზე ტაიმს ვაანალიზებ: თამაში ჩვენია, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამდენი და ასეთი საგოლე მომენტების გამოუყენებლობისათვის აშკარად დავისჯებით. მისახედია მიტრიცა და კრაიოვეანუ, რომელიც მართლაც კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი ყოფილა. დინამოელთა აქტივში კი შეიძლება ჩაითვალოს შელიას უშეცდომო თამაში — ჩვენი ლიბერო ლომივით იბრძვის და ყოველ ორთაბრძოლას იგებს. ძნელია აუღელვებლად უცქირო ქინქლაძისა და ტყუპების თამაშს, რომლებიც თავს არ ზოგავენ და ყოველ ბურთზე ხომ იბრძვიან, ეგ კიდევ არაფერი, საჯარიმოშიც ჩამოდიან და დაცვას ეხმარებიან, ქინქლაძეს თავითაც კი გამოაქვს ბურთები, არჩილი და შოთაც ჩემთვის ახალ, აქამდე უცნობ უნარს ავლენდნენ და უკანა ხაზს დატვირთვას უმსუბუქებდნენ. უშეცდომოდ თამაშობს ზოიძე. დანარჩენი ფეხბურთე-

იხილეთ მეორე გვერდი

# პაპეზი არ შეშურცხვენიათ...

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლებიც წესრიგში არიან. რეზოს შედარებით „ვერაქტიურობა“ დაცვისადმი ყურადღებით არის გამოწვეული, რადგან „უნივერსიტატია“ ცხრა-ათი კაცით უტევს.

მეორე ტაიმის დასაწყისი რუმინელთა შეტევებით და დინამოელებზე ნადირობით გამოირჩევა. კრიოველები კვლავ გამომწვევად იქცევიან, ქინქლაძე და რეზო საკაცით გაჰყავთ მინდვრიდან, საბედნიეროდ, ჩვენი ბიჭები არ აყვნენ მათ და მსაჯიც მოწოდების სიმაღლეზეა — ყვითელი ბარათებით აშოშმინებს რუმინელებს. მეორე ტაიმის მეცამეტე წუთზე მასპინძლები მაინც აღწევენ მიზანს: კარისკენ ზურგით მდგარ პიგულიას ნარიკოშეტალი ბურთი მისდის, სანამ მის ზურგს უკან მდგარი შელია და ნემსაძე ბურთისკენ დაიძვრებოდნენ, რუმინელი მაკრატელას არტყამს და ბურთიც ცხრიანში ვარდება. ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი და ეფექტურია, ზოიძე განძრევასაც ვერ ასწრებს.

**ირაკლი ზოიძე:** საჯარიმოში ძალზე ბევრი ფეხბურთელი იყო, რუმინელმა ისე შეასრულა ყველაფერი, ბურთი კარშიღა დავინახე. ასეთი ბურთები აუღებლად ითვლება.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელები გონს მოდიან და შეტევაზე გადადიან. ქინქლაძის პასით საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილ ყაველაშვილს მიტრიცა აშკარად ცელავს, მსაჯის სასტვენი კი დუმს.

**მიხეილ ყაველაშვილი:** ნაღდი პენალტი იყო. ისე აშკარად მომცელა, მსაჯისკენ არც გამიხედავს, მეგონა, პენალტს დადებს-მეთქი. მან კი თამაში გააგრძელა.

ამის შემდეგ ოთხ წუთში ოთხი სახიფათო მომენტი იქმნება. პირველი ორი რუმინელების ანგარიშზეა — ჯერ მიტრიცას ჩამოწოდებულ ბურთს კრაიოვიანუ უხეიროდ ურტყამს თავს, შემდეგ კი რუმინელებს გოლი გააქვთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ორნი ზოიძეს ძირს აგდებენ. თბილისელთა ორი მომენტი კი შოთას დამსახურებაა. იგი ჯერ მცველებს ატყუებს და კარში ურტყამს (არკანუ იგერიებს), შემდეგ კი საჯარიმოსთან ცელავენ, მაგრამ რეზოს საფირმო საჯარიმო არ შედგა — ბურთი კედელს ხვდება. აქვე კრაიოვიანუს გარღვევა მარცხენა ფრთაზე ნემსაძემ რუმინელის უკნიდან მოცელვით შეაჩერა და ყვითელი ბარათი მიიღო, წუთის შემდეგ კი მატჩის კულმინაციური მომენტი დგება: რუმინელთა დარტყმა ხელზე ხვდება შელიას და არბიტრი თერთმეტმეტრიანს ნიშნავს, თანაც შელიას აფრთხილებს. მატჩის დასასრულამდე კი ოცი წუთია...

**მურთაზ შელია:** ხელით თამაში ნამდვილად არ ყოფილა, ძლიერად დარტყმული ბურთი ხელზე მომხვდა. პენალტი, ალბათ, უნდა დაედო, თუმცა, ვფიქრობ, ყვითელ ბარათს აღარ ვიმსახურებდი.

პენალტს კრაიოვიანუ ურტყამს. ზოიძე მარჯვნივ ხტება, რუმინელი ნელა ურტყამს მარცხენა კუთხეში, მაგრამ ბურთი ორიოდე სანტიმეტრით ცდება ძელს. კრაიოვიანუ მიწაზე ემხობა.

**ირაკლი ზოიძე:** შევამჩნიე, რომ კრაიოვიანუ მარჯვენა კუთხეს უყურებდა და იქით გადავხტი. მან კი, ჩემი რეაქცია რომ დაინახა, ეტყობა დარტყმის მომენტში შეიცვალა აზრი და მარცხნივ დაარტყა. ასეთ დროს დარტყმა, როგორც წესი, არაზუსტია.

თამაში, ფაქტიურად, მორჩენილია. რუმინელები გატყდნენ, დინამოელები კი კვლავ შეტევას მიეძალნენ. ზამფირს ისღა დარჩენია, შოთა უკნიდან მოცელოს, რისთვისაც მეორე ყვითელ ბარათს იღებს. წუთის შემდეგ ქინქლაძეს ჯამარაული მეკარის პირისპირ გაჰყავს, მაგრამ იგი გარინჩასავით მცველს უცდის, ატყუებს მას, მაგრამ დარტყმა უცუდდება. მაყურებლებიც კი გრძნობენ, რომ მათ ნატვრა-იმედებს მინიმუმ ერთი წლით არ უწერია ასრულება. მალე შელია მეტოქის შეტევას შლის და რეზოს პასს აწვდის, თანაც მეტოქის კარისკენ გარბის. რეზო ზუსტი პასით შელიას მეკარესთან პირისპირ ტოვებს, მაგრამ იგი არ „ლორობს“ და საჯარიმოში, ოდნავ უკან ქინქლაძეს უგორებს, რომელიც ცაციას უხვედრებს. ბურთი ნელა მიგორავს, ასე მგონია კარს სცდება, მაგრამ ვცდები. დინამოელები ხვევნა-კოცნას აჩალებენ — 2:1.

**გიორგი ქინქლაძე:** მართლა ასე ჩანდა, რომ კარს სცდებოდა? შელიამ ისეთი პასი მომცა, ტერფის დახვედრებაღა უნდოდა.

გივი ნოდიამ ზოიძისა და ქინქლაძის ნაცვლად ჩხეიძე და იაშვილი გამოიყვანა. დინამოელები უკანასკნელ წუთებზეც უტევენ, შოთას კვლავ უხეშად ეთამაშება პაპურა, რეზოს ჯარიმა ისევ სცდება კარს. გაბრაზებული რუმინელები უხეშობენ, მაგრამ რეზო ოსტატურად იცილებს მოქნეულ ფეხებს...

მსაჯის სასტვენი რუმინელთა ტანჯვას ამთავრებს — 2:1. ვცდილობ ობიექტურად შევაფასო მატჩი, მაგრამ, ვგრძნობ, ძალიან მიჭირს ემოციების დაოკება და მხოლოდ მეორე დღეს ვახერხებ მომხდარის გაანალიზებას. დადებითი მომენტები:

„უნივერსიტატია“ გაცილებით სჯობს „ლინფილდს“, ტექნიკურადაც, ფიზიკურადაც და მოგების ჟინითაც. „დინამო“ აშკარად უკეთესი გუნდია, ვიდრე შარშან, უფრო დალაგებულია. ფეხბურთელები ცდილობენ, ინდივიდუალურ ოსტატობას გუნდური თამაში ამჯობინონ; აშკარად გაზრდილია ზოგი ფეხბურთელის დიაპაზონი. ეს განსაკუთრებით უცხოეთიდან დაბრუნებულებზე ითქმის; ჩვენი ბიჭები მეტოქის უამრავ პროვოკაციას არცერთხელ არ წამოეგნენ, ეს ჩემთვის აღმოჩენაა, რადგან ადრე გაცილებით ხშირად ვიმსახურებდით ყვითელ ბარათებს არასათამაშო სიტუაციებში; ფეხბურთელებს შეგნებული აქვთ დიდი პასუხისმგებლობა, საქართველოს სახელით თამაში რომ ჰქვია და მთელ ჯიგარს დებენ თამაშში.

უარყოფითი მომენტები: უკვე მერამდენედ, კინაღამ დავისაჯეთ საგოლე მომენტების გამოუყენებლობის გამო — ეს ყველაზე სერიოზული და სასწრაფოდ მისახედი ნაკლია. მაღალი კლასის გუნდი ამას არ გვაპატიებს, მითუმეტეს შინ; ხშირად ვხვდებით ოფსაიდში, არადა, ისეთ მომენტებში, როდესაც რიცხობრივი უპირატესობა გვაქვს და ადვილი შესაძლებელია ეს უპირატესობა გოლადაც ვაქციოთ; სტანდარტული სიტუაციების გოლად „გარდასახვას“ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

აქედან და სპეციალისტებთან, გულშემატკივრებთან თუ კოლეგებთან საუბრის შემდეგ ამ მატჩში მონაწილე ყველა ფეხბურთელის შეფასების ჩემეულ რეზიუმეს შემოგთავაზებთ, ქულების დარიცხვის გარეშე, რადგან ამ უკანასკნელს სპეციალისტის გამოცდილი თვალი და გონება სჭირდება.

**ირაკლი ზოიძე** — ბრწყინვალედ ითამაშა. ბევრჯერ გადაარჩინა კარი აშკარა გოლს. აიღო ათიდან შვიდი ბურთი (ორჯერ მცველებმაც იჯაუკაცეს).

**გიორგი ნემსაძე** — გიორგი რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველია, ეს ალბათ ყველამ იცის. გუნდის ინტერესებისათვის მარჯვენა მცველად თამაშობს, და კარგადაც. ასევე წარმატებით გამოვა ნებისმიერ ადგილზე, კარის გარდა. მისთვის ჩვეულ სტილში, მთელი სულითა და გულით ითამაშა.

**ნუგზარ ლობჟანიძე** — მარცხენა მცველის ამპლუა ბევრ გუნდში აქილევსის ქუსლია, თუ ამ მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნუგზარმა თავი გაართვა საქმეს. თუმცა ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოუწევს, რადგან ადრე უკანა მცველად თამაშობდა და, ნემსაძისა არ იყოს, გუნდის ინტერესებისთვის ამპლუა შეიცვალა.

**მურთაზ შელია** — რუმინელთა შეტევებს ისე ამსხვრევდა, როგორც კლდე — ზღვის ტალღებს. იმედია, მასზე ევროპაში ძალზე დიდი მოთხოვნა იქნება. მე მისი სეხნია ხურცილავას თამაში არ მინახავს, მაგრამ რახან ჩემზე გამოცდილი და ასაკოვანი სპეციალისტები უკვე ადარებენ მას, ეს ბევრს ნიშნავს. კოჩარელ ბიჭს მალე შეიყვანენ სიმბოლურ ნაკრებებში. რომ არა შელია, პირდაპირ მინდა ვთქვა — „დინამო“ ამ თამაშს ვერ მოიგებდა.

**გელა ინალიშვილი** — როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ფუტკარივით იშრომა, შეუმჩნევლად გააკეთა შავი სამუშაო, რამდენჯერმე კარშიც დაარტყა, მაგრამ ძველებურად ველარ ერთვებოდა შეტევებში, რადგან გუნდის ინტერესებისთვის დაცვის გამაგრებით იყო დაკავებული.

**მიხეილ ყაველაშვილი** — მიშას წელს ბევრი გაუცდა, ამიტომ ფიზიკურად ოდნავ მოისუსტებს. ხშირად ერთვებოდა შეტევებში და დაცვაშიც რამდენჯერმე აართვა ბურთი მეტოქეს. ჰქონდა რამდენიმე წუთიანი ჩავარდნა, როდესაც მიტრიცამ გაინავარდა მის ფლანგზე, მაგრამ თავადვე მოახერხა სწორად შეერჩია პოზიციები და საბოლოო ჯამში დიდად გამოადგა გუნდს. მისმა პირველმა გოლმა ხომ ნახევარი საათით მაინც გააბრუა მეტოქე და დინამოელებს შეტევების საშუალება, მისცა რაც სამწუხაროდ, ვერ გამოიყენეს.

**არჩილ არველაძე** — ჩემი აზრით, ეს მისი საუკეთესო თამაშია. მოქმედებდა მინდვრის სამ მეოთხედზე. მისმა თავგანწირვამ რამდენჯერმე დააცხრო მეტოქეთა შეტევები. შემთხვევითი არაა, რომ დინამოელთაგან ყველაზე მეტჯერ — 5-ჯერ დაჯარიმდა და ყველაზე მეტჯერ, 4-ჯერ დაჯარიმდნენ მის წინააღმდეგ. ყვითელ ბარათს, ჩემი აზრით, არ იმსახურებდა.

**გოჩა ჯამარაული** — ძალზე ტექნიკური ჯამარაული თავგზას უბნევდა მეტოქეებს, ხშირად ერთვებოდა ორთაბრძოლებში. ყველაზე ხშირად დაარტყა კარშიც, რაც ფრიადაც სანაქებოა. ოღონდ ეგაა, დარტყმის სიზუსტეზე მეტი უნდა იმუშაოს და რაც ყველაზე მთავარია — მეტოქის ნახევარზე ბურთის დაკარგვის შემთხვევაში რატომღაც ჩერდება და ზონას უკონტროლოდ ტოვებს. „უნივერსიტატიაზე“ მაღალი კლასის გუნდი დაუყოვნებლივ დაგვსჯის მისი ასეთი საქციელისთვის.

**რეზო არველაძე** — რეზო ისეთი შესამჩნევი არ იყო, როგორც თბილისში. ამაზე ციკლიანუმ იზრუნა და მარცხენა ფრთა გააძლიერა. თანაც ზამფირმა კინაღამ დაასახიჩრა. რეზო დაცვით უფრო იყო დაკავებული. მხოლოდ ტექნიკას უნდა უმადლოდეს, ფეხები რომ მინდორზე არ დატოვა.

**გიორგი ქინქლაძე** — გიორგის ერთი ახალი თვისება აღმოვუჩინე — დაცვაშიც ჩინებულად შესძლებია თამაში. გიორგი მინდვრის შუაგულს აკონტროლებდა, მისი ყოველი გამჭოლი პასის შემდეგ ხიფათი ექმნებოდა რუმინელთა კარს. კარგი ფიზიკური მომზადება საშუალებას აძლევს კარიც დაიცვას და მეტოქესაც შეუტიოს. ტყუპებთან ერთად შექმნა ბუფერული ზონა, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს მინდვრის შუაგული სწრაფად გაევლო. ერთხელაც არ მიუცია თავისთვის უფლება, ინდივიდუალურად ეთამაშა, მუდამ გუნდის ინტერესებისთვის ირჯებოდა.

**შოთა არველაძე** — შოთა შესანიშნავი იყო! მერე რა, რომ გოლი ვერ გაიტანა. ტყუპისცალივით თავგანწირვით იბრძოდა, რამდენჯერმე კი ეშმაკური და დროული ნაბიჯი გადადგა — როდესაც რუმინელები ათი კაცით გვიტევდნენ, შოთა თავს დაადებდა და მოედნის ცენტრში დგებოდა, აქ კი, მოგეხსენებათ, ოფსაიდი არ ითვლება. შეშინებული რუმინელი მცველი უმალ შოთასთან აიტუზებოდა და „უნივერსიტატიას“ შეტევებს სიმწვავე აკლდებოდა.

**ალექსანდრე იაშვილი** — ევროპულ თასებზე სადებიუტო მატჩში ისევე თამამად ხ[illegible] ერთო, როგორც საქართველოს პირვე[illegible] ლობაზე. დრო აღარ იყო, თორემ დარწმუ[illegible] ნებული ვარ, უგოლოდ არ გამოვიდოდა.

**ნიკა ჩხეიძე** — ნოდიას სიბრძნე კიდე[illegible] ერთხელ გამოჩნდა, როდესაც მინდორზ[illegible] ჩხეიძე გამოიყვანა. მცირე ხნით გამოსუ[illegible] ლმა ნიკამ ერთი ნაღდი გოლის „გამოძრო[illegible] ბაც“ მოასწრო.

...მთავარია, ამ მოგებამ დათვური სამსა[illegible] ხური არ გაგვიწიოს. ბიჭებმა უნდა იცო[illegible] დნენ, რომ თუ მთელ ძალასა და ენერგია[illegible] გაიღებენ და კვლავ ერთ მუშტად შეიკვრე[illegible] ბიან, ტოლს არავის დაუდებენ.

**მამუკა კვარაცხელი[illegible]**

ფოტოები ქრისტი პრედას[illegible]
(გაზეთი „სპორტულ რუმინესკი“)



არჩილი ყველაზე ხშირად ერთვებოდა ორთაბრძოლაში



მიხეილ ყაველაშვილი წინა ღლით ცაციას საგანგებოდ ამზადებდა

## უეფას თასი

ნინასნარი ეტაპი. მეორე მატჩი

კრაიოვა, 23 აგვისტო

**„უნივერსიტატია“ კრაიოვა — „დინამო“ თბილისი 1:2**

1. ზოიძე
4. შელია
2. ნემსაძე 3. ლობჟანიძე
5. ინალიშვილი
9. რ. არველაძე 8. ჯამარაული 10. ქინქლაძე 6. ყაველაშვილი
11. შ არველაძე 7. ა. არველაძე

9. განე 7. უნგური
8. კრაიოვიანუ
11. ვასკი 10. სტინგა 6. პაპურა 2. მიტრიცა
4. ზამფირი 3. სბურლია
5. სანდოი
1. არკანუ

შეცვლები: 30-ე წთ. ვასკი — 16. პიგულია
70-ე წთ. განე — 17. კოჟოკარუ
65-ე წთ. ზოიძე — 16. ჩხეიძე
88-ე წთ. ქინქლაძე — 13. იაშვილი

0:1 ყაველაშვილი (2)
1:1 პიგულია (58)
1:2 ქინქლაძე (83)

კრაიოვიანუმ ააცილა პენალტი (71)

გაფრთხილება: სბურლია (29), უნგური (52), ა. არველაძე (55), ზამფირი (59), ნემსაძე (69), შელია. (71). გაძევება: ზამფირი (78)

მსაჯები: არანდა, გონსალესი, ლობერა (ესპანეთი)

კუთხური 12:6 (10:2); ჯარიმა 16:28, თამაშგარე 0:4 (0:1), კარში დარტყმა 19:17 (11:8)

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 ზოიძე | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ნემსაძე | 1 | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 ლობჟანიძე | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 შელია | — | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 ინალიშვილი | — | 2 | 3 | 3 | — | 3 | — | — | — |
| 6 ყაველაშვილი (კაპ) | — | 2 | 2 | 2 | — | 1 | — | — | 1 |
| 7 ა. არველაძე | 4 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 8 ჯამარაული | 4 | 1 | 4 | 2 | 3 | 3 | 1 | — | — |
| 9 რ. არველაძე | 2 | 2 | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| 10 ქინქლაძე | 1 | 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 2 | — | 1 |
| 11 შ.არველაძე | 3 | 3 | 1 | — | 1 | — | 1 | — | — |
| 16 ჩხეიძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 15 იაშვილი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 16 | 22 | 17 | 10 | 7 | 10 | 5 | — | 2 |

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 არკანუ | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 მიტრიცა | 3 | 1 | 2 | — | 2 | — | 1 | — | — |
| 3 სბურლია | 1 | 2 | 2 | 2 | — | 2 | — | — | — |
| 4 ზამფირი (კაპ) | — | 2 | 2 | 2 | — | 2 | — | — | — |
| 5 სანდოი | 1 | — | 2 | 1 | 1 | — | 1 | — | — |
| 6 პაპურა | 4 | 4 | 2 | 2 | — | 1 | 1 | — | — |
| 7 უნგური | 4 | 3 | 2 | — | 2 | — | 2 | — | — |
| 8 კრაიოვიანუ | 4 | — | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 9 განე | — | 1 | 2 | — | 2 | 2 | — | — | — |
| 10 სტინგა | 2 | — | 2 | 2 | — | 1 | 1 | — | — |
| 11 ვასკი | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 16 პიგულია | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | — | — | 1 |
| 17 კოჟოკარუ | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| მიტრიცას და სანდოის თითო დარტყმა თბილისელმა მცველებმა მოიგერიეს | | | | | | | | | |
| სულ | 22 | 16 | 19 | 11 | 8 | 10 | 8 | — | 1 |

„მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე

# «დინამო» მაინც მოიგებდა

## გივი ნოდია

— როგორ მიგაჩნიათ, პირველი გოლი თამაშგარედან გავიდა?

— მე ცუდად დავინახე. ჩემი აზრით, კრაიოველები ოფსაიდს კი არა, ხელით თამაშს უჩვენებდნენ არბიტრს.

— მატჩის ანგარიში თუ შეესაბამებოდა თამაშს?

— მე მგონი, შეესაბამებოდა.

— კარგი გუნდი გყავთ, აწყობილად თამაშობთ, მაგრამ ამდენი ხელსაყრელი მომენტის გამოუყენებლობა რა ამბავია (ეს კითხვა რუმინეთის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა, კირცუმ დასვა)?

— ეს ნაკლი ქართულ ფეხბურთს მუდამ ახასიათებდა. გუნდი ახალგაზრდულია და ამ ნაკლის გამოსასწორებლად ბევრს ვმუშაობთ. რასაც ადვილად ვშოულობთ, ადვილადვე ვფანტავთ.

— რამ გამოიწვია ორივე მატჩში „უნივერსიტატიას“ დამარცხება?

— ჩვენ 8-9 ექსტრა-კლასის ფეხბურთელი გვყავს, თქვენ კი — 3-4. შელია ხომ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია.

— გუნდებს მწვრთნელები რომ გაეცვალათ, ვინ მოიგებდა?

— „დინამო“ თბილისი!

## აურელ ციკლიანუ:

— რამ დაამარცხა „უნივერსიტატეა“?

— „დინამომ“ ორივე შეხვედრაში გვაჯობა. კარგა ხანია ასეთი ახალგაზრდული, შემართებული და ტექნიკური გუნდი არ მინახავს. იმან, რომ თბილისელებმა გოლი მატჩის დასაწყისშივე გაგვიტანეს, უდიდესი როლი ითამაშა. მართალია ჩემმა ფეხბურთელებმა შესვენებაზე მითხრეს, ყაველაშვილმა ორმაგი დარღვევით შეგვიგდოო, ხელიც ხყო და თამაშგარეცო, მაგრამ ეს დინამოელთა წარმატებას არ აკნინებს — ძლიერმა გაიმარჯვა. ჩვენებს კი, აცდენილ პენალტზე რომ აღარა ვთქვათ, საბოლოო დარტყმებისას მეტი სიზუსტე მართებდათ.

— თვლით თუ არა, რომ „უნივერსიტატიას“ მარცხი თქვენი ბრალია?

— მთლად ჩემი ბრალი არ არის. მე სულ ცოტა ხნის წინ, მეტისმეტად ახალგაზრდული გუნდი ჩავიბარე, რომლის შეთამაშებას და ყოველმხრივ გამართვას დრო სჭირდება. ჩემი ვარაუდით, ორი წლის შემდეგ საერთაშორისო მატჩებსაც ძლიერად ჩავატარებდით, მაგრამ როგორც ჩანს პრეზიდენტი და გულშემატკივრები აღარ დამაცდიან და სამსახურიდან გამიშვებენ.

— პირველ შეხვედრასთან შედარებით „დინამოს“ თამაშში რაიმე სიახლე ხომ არ შეგინიშნავთ?

— მე ბევრი რამ შევნიშნე და ჩემი ფეხბურთელებიც შესაბამისად დავარიგე. სხვა მრავალთან ერთად ისიც ვუთხარი, რომ თბილისელები მეტად კარგად ფლობენ ბურთს და ინდივიდუალურად მათთვის მისიართმევა ძნელია, მაგრამ საქმეს მარტო მწვრთნელის დაკვირვება არ შველის. მე თამაშის დროს მოედნის პირას სკამზე ვზივარ, მინდორზე კი მოთამაშეები მოქმედებენ, შესაბამისად მატჩის მსვლელობისას გადამწყვეტი მათი მიხვედრილობა და ოსტატობაა.

— ვის გამოჰყოფდით?

— დინამოელთაგან პირველ მატჩში რეზო არველაძე იყო საუკეთესო, მეორეში გიორგი ქინქლაძე, ხოლო ჩემს მოთამაშეებზე ერთს ვიტყვი, ისინი ძალიან მონდომებულნი იყვნენ, საგანგებოდ კი ვერავისზე ვილაპარაკებ.



# ნაკრების მწვრთნელიც კმაყოფილია

რუმინეთში დელეგაციას ახლდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვლადიმერ ბანოვი. ბუნებრივია, ვერ გავუშვებდით შანსს მისთვის გვეკითხა აზრი თბილისის „დინამოზე“, მით უმეტეს, რომ „დინამო“ ნაკრების ძირითადი ბირთვია და მოლდოვასთან თამაშამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი.

— როდესაც გუნდი იგებს, არ შეიძლება უკმაყოფილო იყო. ჩემი შეხედულებით „დინამომ“ მთლიანობაში კარგად ითამაშა. სადღაც შიში მქონდა, რომ დაძაბული თამაში გველოდა და ბიჭები არ დაიბნენ-მეთქი, მაგრამ მათ კარში საქმე გააკეთეს, რასაც სხვათა შორის, ველოდი კიდეც.

— „დინამო“ ნაკრების საბაზო გუნდია. როგორ მოგეწონათ ნაკრების წევრები?

— ნაკრებს კვლავაც დინამოელებით დავაკომპლექტებთ. ჩემი აზრით, ნელ-ნელა გუნდი იმ კონდიციამდე მიდის, ნაკრების ხელმძღვანელობას რომ გვინდა. რა თქმა უნდა, პატარ-პატარა ხარვეზები არის, მაგრამ საშიში არაფერია, ყველაფერი გამოსწორდება.

— არ შეგიძლია არ დავაკონკრეტო უკანასკნელი კითხვა: ვის გამოჰყოფდით?

— პერსონალურად გამოვყოფდი სამ კაცს. ათბალიანი სისტემით შელიას, ქინქლაძეს და ზოიძეს 10-10 ბალს დავუწერდი, შემდეგ მოდიან არჩილი და შოთა. არჩილს მე 9 ბალს დავუწერდი; მან კიდევ ერთხელ დამაჯერა, რომ სულით ფეხბურთელია, თავს არ ზოგავს, თავის საქმესაც აკეთებს და არც შავ სამუშაოს თაკილობს. ეს ხუთეული ყველას სჯობდა, თუმცა დანარჩენებმა მათზე ნაკლებად არ ითამაშეს.

# პრეზიდენტო, გააგდე მწვრთნელი!

„უნივერსიტატიას“ პრეზიდენტს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს როდიონ კმეტარუს თამაშის მიწურულს, კრაიოველ გულშემატკივართა მწარე სიტყვების მოსმენა მოუხდა. პრეზიდენტი მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციას არ დასწრებია, მაგრამ ჟურნალისტები მწვრთნელების მოსვლამდე „ფანტიან“, „კოკა-კოლიან“ და ქლიავიან საპრესკონფერენციო ოთახში შეგვიპატიჟა და არც ინტერვიუზე უთქვამს უარი.

— როგორ თვლით თამაშის ხასიათი და ანგარიში ერთმანეთს შეესაბამებოდა?

— მართალია „დინამომ“ პირველი გოლი წესების დარღვევით გაიტანა, მაგრამ მათი მოგება მაინც ლოგიკური იყო.

— „უნივერსიტატიას“ მარცხს რითი ახსნით?

— გუნდურ თამაშში მოვიკოჭლებდით, გარდა ამისა კარგი მომენტებიც გავუშვით ხელიდან.

— რუმინელმა ჟურნალისტებმა გვითხრეს, რომ ციკლიანუს ცუდად აქვს საქმე. გაუშვებთ გუნდიდან?

— ერთ კვირასაც ვადროვებთ. მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, „დინამოსთან“ მისმა დამარცხებამ სასწორი მის საწინააღმდეგოდ მეტისმეტად გადასწონა.

— დინამოელთა მეორე გოლის შემდეგ ბევრი გულშემატკივარი თქვენსკენ მოტრიალდა და რაღაცას გიყვიროდათ. რა უნდოდათ?

— ციკლიანუს გაგდებას მოითხოვდნენ.

— „დინამოს“ ... ხაზებით და უარყოფით მხარეებზე რას გვეტყოდით?

— კარგი ნახევარდაცვა გყავთ, დაცვაში კი პრობლემები გაქვთ.

— ფეხბურთელებიდან ვინ მოგეწონათ?

— თქვენგან ქინქლაძე, ჩვენგან კი ვინმეს გამოყოფა ძნელია. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო მოედანზე ვერ გავიდა.

— კრაიოვიანუს მიერ აცილებულმა პენალტმა რა როლი ითამაშა?

— რომ გაეტანა მოვიგებდით, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლას მაინც ვერ მოვახერხებდით.

# მერაბ ჟორდანია: „დინამო“ ჩვენი ფეხბურთის მომავალია

**კრაიოვაში მოგებით გახარებული მერაბ ჟორდანია თბილისშიც ჩამოჰყვა გუნდს და დირექტორატის სახელით მატჩისშემდგომ ბანკეტზე ქალიშვილის დაბადება რომ მიულოცა ირაკლი ზოიძეს, როგორც პრეზიდენტს შეჰფერის, საჩუქარიც ღირსეული გაუკეთა — უახლოეს მომავალში ზოიძე მეუღლითა და პატარა ანუკისთან ერთად ბაზიდან საკუთარ ბინაში გადაინაცვლებს.**

— მერაბ, შარშანდელი და წლევანდელი „დინამო“ შევადაროთ ერთმანეთს.

— ჯერ მეტოქეებით დავიწყებ. „უნივერსიტატიასა“ და „ლინფილდს“ შორის დიდი ზღვარია, ისევე, როგორც ამ და იმ „დინამოს“ შორის. უცხოეთში ფეხბურთელთა მივლინებამ დიდი როლი ითამაშა, ბიჭები აშკარად გაიზარდნენ, მიუხედავად რუმინელთა თავგანწირული შეტევებისა, არ შედრკნენ და მეორე თამაშიც მოიგეს.

— ახლა შარშანდელით შეშინებულმა თბილისში ინგლისელი მსაჯების შესახებ მინდა გკითხოთ...

— მსაჯებთან მხოლოდ ოფიციალური შეხვედრა გვქონდა. ისინი კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციაში დაბანაკდნენ. ძალზე დაგვეხმარნენ ნიკო ლეკიშვილი და ირაკლი ანდრიაძე. მსაჯებს მხოლოდ სასტუმროს ხარჯები ავუნაზღაურეთ, როგორც უეფას წესია. მატჩის კომისარი ლუქსენბურგელი ლანტერბეინი ყოველმხრივ აღფრთოვანებული იყო, გარდა...

— გარდა?

— იგი გააოცა იმან, რომ ტრიბუნები თითქმის შეივსო, სალაროში კი მხოლოდ 17 ათასი ბილეთის საფასური იდო...

— რა შეიძლება მოჰყვეს მის პატაკს?

— შეიძლება თბილისში თამაში აგვიკრძალონ კიდეც. მრავალი წინადადება მქონდა გერმანიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, თურქეთიდან — ამ ქვეყნებში ჩაგვეტარებინა საშინაო მატჩი. ეს უფრო იაფიც დაგვიჯდებოდა, გარდა ამისა, დიდ შემოსავალსაც მივიღებდით, როგორც რეკლამიდან, ასევე ბილეთების საფასურიდანაც, მაგრამ ამას როგორ ვიზამდით?

— არ აჯობებდა, ბილეთი გაგვეიაფებინა?

— მერწმუნეთ, არაფერი გამოვიდოდა. ადრეც მითქვამს, უეფა კატეგორიულად ითხოვს, ბილეთი ერთ შვეიცარიულ ფრანკზე ნაკლები არ ღირდეს, ახლა უეფაში შესატანი ოთხი პროცენტიც გადასახდელი გვაქვს, კლუბის რუმინეთში გასაგზავნი თანხაც და ბიჭების პრემიებიც. არადა, გვეგონა, ბილეთების საფასური ცოტას მაინც შეგვეშველებოდა — 100 მილიონ მანეთამდე მოგებას ვვარაუდობდით.

— უცხოურ ფირმების წარმომადგენლებთან თუ გქონდათ საუბარი მატჩის პირდაპირ ტრანსლირებაზე?

— ათამდე ფირმამ მომმართა. მიჩვეულნი არიან, რომ ყოფილი სსრკ რესპუბლიკები აქეთ ეხვეწებოდნენ. მორჩა ის დრო. მე გავრისკე, ყველას უარი ვუთხარი. ახლა ერთი-ორად აიწია ჩვენმა ფასმა და უფრო დიდ თანხას შემოგვთავაზებენ.

— ღმერთმა ქნას, წელს „დინამომ“ უეფას თასის ფინალს მიაღწიოს, მაგრამ რომელიმე ეტაპზე წაგორხილების შემთხვევაში საუკეთესო ფეხბურთელები მაინც დარჩებიან გუნდში?

— ასეთ შემთხვევაში ყველა ფეხბურთელი, რომელიც გამოთქვამს უცხოეთში თამაშის სურვილს, ჩვენი თანხმობის შემთხვევაში საზღვარგარეთ გაემგზავრება. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, როგორ იზრდება ფეხბურთელი საზღვარგარეთ. ის ხომ თავის ცოდნას შემდეგ ნაკრებში გამოიყენებს, რაც ისევ ჩვენთვის იქნება სასარგებლო და სასახელო. უცხოეთში გაშვებისას, პირველ რიგში იმას მივაქცევთ ყურადღებას, რამდენად შესაფერისი პირობები ექნება ჩვენგან გაშვებულ ფეხბურთელს, რადგან, გარდა მისი პირადი კეთილდღეობისა, „დინამოს“ პრესტიჟზეც უნდა ვიზრუნოთ. წავიდა ის დრო, ჩალის ფასად რომ იყიდებოდნენ ჩვენი ფეხბურთელები სუსტ საფეხბურთო ქვეყნებში. შევეცდებით, ძლიერ კლუბებში მოვახვედროთ ჩვენი ბიჭები, ისევ ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე. კონტრაქტში კი ყველას ჩავუწერთ, რომ დაუბრკოლებლად გაუშვან ნაკრების ნებისმიერ მატჩზე.

— საუკეთესო ფეხბურთელების საზღვარგარეთ წასვლა „დინამოს“, ცხადია, დაასუსტებს — მართალია, ნიჭიერი ახალგაზრდები კი გვყავს, მაგრამ ასე ადვილი არ იქნება წასულთა შეცვლა. რა გარანტია გაქვთ, რომ ახალგაზრდული შემადგენლობითაც მოიპოვებთ ჩემპიონობას?

— მერე, ვინ თქვა, რომ ჩვენი მიზანი მაინცდამაინც ჩემპიონობაა? ჩვენი მიზანია, საქართველოში აღვზარდოთ ძლიერი ფეხბურთელები, რათა ისინი გამოადგნენ ჩვენს კლუბსა და ნაკრებს. ორი წელია ამას ვაკეთებთ. საუკეთესოთა წასვლით კლუბი უდაოდ დასუსტდება, მაგრამ დღეს თუ არა ხვალ მათ-მაგიერ მოსულმა ახალგაზრდებმა შეიძლება უფრო დიდი ფეხბურთი ითამაშონ. ერთ ადგილზე შეჩერება არ შეიძლება — ეს ფეხბურთსაც ვნებს და ფეხბურთელებსაც. განა შეიძლება, დღეს საქართველოს ჩემპიონატში რაღაც გარკვეული დონის მერე ოსტატობის ამაღლება?

უეფას თასზე „დინამომ“ წელს თუ ივარგა, ჩემპიონობის მოპოვების შემთხვევაში ჩემპიონთა თასზე დავეშვებით და, შესაძლოა, 1995-96 წლების ევროთასებზეც „გავქაჩოთ“ ერთი ან ორი ქართული გუნდი. ფედერაციამ კალენდარი ნაკრებისა და „დინამოს“ ინტერესების გათვალისწინებით შეადგინა, იმაზეც კი დავფიქრდა, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას ნებისმიერი გუნდიდან აგვეყვანა ფეხბურთელი უეფას თასზე მონაწილეობის პერიოდში. ჩვენი გამოვარდნის შემთხვევაში ფეხბურთელი ისევ თავის კლუბს უბრუნდებოდა. დღეს ასე უნდა ფიქრობდეს ყველა, ვისაც კარგი უნდა ქართული ფეხბურთისათვის, რადგან, ვიმეორებ, ჩვენი წარმატება დღეს — ქართული ფეხბურთის წარმატებაა...

# კრაიოვიანუ, კრაიოვა და სხვა ამბები

მოთელვაზე თბილისელები კრაიოველებზე ადრე გავიდნენ და გასახდელთან უფრო ახლოს რომ იყო, მოედნის იმ ნახევარზე დაიწყეს ვარჯიში. რუმინელ გულშემატკივართა რეაქცია ჩვეულებრივი იყო — ცოტა დაუსტვინეს. ცოტა ხანში გვირაბიდან „უნივერსიტატიას“ ფეხბურთელები გამოჩნდნენ. გიგა! გიგა! — ატეხეს ტრიბუნებმა, ისინი თავიანთ საყვარელ მოთამაშეს, კლუბის საუკეთესო ბომბარდირს, გეორგე კრაიოვიანუს ესალმებოდნენ. თავადმა კრაიოვიანუმ (სახელი ქალაქ კრაიოვას ხუთასი წლის წინ ადგილობრივმა ფეოდალებმა, კრაიოვიანუებმა მისცეს) და მისმა გუნდმა არც აცია, არც აცხელა და „დინამო“ რომ ხურდებოდა, მოედნის იმავე ნახევარზე დაიწყო ვარჯიში. ჩვენები იძულებული შეიქნენ საპირისპირო კართან გადაბარგებულიყვნენ და მოთელვა იქ გაეგრძელებინათ. ოცდაათი ათასიან სტადიონზე, რომელიც რაღაცით ვაკისას ჩამოჰგავდა და ათი ათასამდე გულშემატკივარს მოეყარა თავი, პრეს-ლოჟის გადაღმა, ცენტრალურ ტრიბუნაზე კლუბის დროშებითა და სხვა სიმბოლიკით შეიარაღებული ფანები ხმაურობდნენ. რუმინელ ჟურნალისტებთან საუბრის შემდეგ პირადად მე ამდენ ხალხს არ ველოდი. ჩვენთან ფეხბურთი ისე არ უყვართ როგორც თქვენთანო, შარშან „პარი სენ-ჟერმენთან“ მატჩზე სულ ორი ათასი კაცი მოვიდაო და სხვა. ერთი მხრივ ეს გასაგებიც იყო. კრაიოვას სტადიონს ელექტროგანათება არა აქვს. ახლა დაუწყიათ მისი მოწყობა და სვეტები კი აღუმართავთ, მაგრამ პროჟექტორები ჯერ არ დაუყენებიათ. როგორც გვითხრეს, ამ საქმეში მათ ოთხასი ათასი დოლარი ეხარჯებათ. განათების არმქონე სტადიონზე ბუნებრივია თამაშები დღისით-მზისით უნდა ჩატარდეს. შარშანაც ამდგარან და რადგან გვიანი შემოდგომა იყო, „პარი სენ-ჟერმენთან“ თამაში ორ საათზე დაუნიშნავთ. პარიზელთა გაოცებული სახეები უნდა გენახათ, ხელებს ასავსავებდნენ და ამბობდნენ ასე ადრე ცხოვრებაში არ გვითამაშიაო — გვეუბნებოდნენ კოლეგები. „დინამოსთან“ თამაში ხუთ საათზე ჰქონდათ დანიშნული, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ ამინდი არ შეიცვლებოდა (მადლობა ღმერთს თამაშის დღეს ათი გრადუსით აგრილდა), ფეხბურთელებს ხვატში უნდა ეთამაშათ. ჯერ კვირას, ჩარტერული რეისით ბუქარესტში ჩაფრენილებს კარგა გვარიანი სიცხე დაგვხვდა, არც აქედან, ავტობუსით სამ საათიანი მგზავრობის შემდეგ, კრაიოვაში ჩასულებს დაგვხვდა ნაკლები — 30-35 გრადუსი. დინამოელებს არც უგახშმიათ, სპორტული ფორმა ჩაიცვეს და სტადიონს მიაშურეს. ჩვენებმა მეორე დღესაც ივარჯიშეს, ოღონდ ამჯერად ზუსტად თამაშის დროს, ხუთ საათზე. კვლავ ცხელოდა. „რას იტყვით ასეთ ამინდზე?“ — ჰკითხა რუმინული გაზეთის კორესპონდენტმა გივი ნოდიას. „ასეთ ამინდს შეჩვეულები ვართ, საქართველოს პირველობაზე გვიწევს ხოლმე პაპანაქებაში თამაში“ — უპასუხა თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა. ჩვენების ვარჯიშამდე, თორმეტ საათზე, სტადიონის „შესასწავლად“ წასულმა ქართველმა ჟურნალისტებმა უცნაური რამ ვნახეთ. გასახდელიდან სავარჯიშო ფორმაში გამოწყობილი „უნივერსიტატეა“ გამოვიდა. ვიფიქრეთ ამათაც ვარჯიშზე ვიხილავთო, მაგრამ რას ვხედავთ, მთელი გუნდი საჯარიმო მოედანში დადგა, ერთი-ორი სიტყვა გადაულაპარაკეს ერთმანეთს, და ერთიც არ ჩაუბუქნავთ, ხელად მიტრიალდნენ და კვლავ გასახდელში გავიდნენ. რომ შევატყვეთ მინდორზე დაბრუნებას აღარ აპირებდნენ, სტადიონის „შესწავლა“ განვაგრძეთ. ტრიბუნებზე აქა-იქ იყო ისეთი ადგილები, სადაც წესითა და რიგით სკამები უნდა მდგარიყო, ისინი ვილაცას აეყარა. იყო ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ტაბლო და საერთოდაც იჟურობას ეტყობოდა, რომ კარგა ხანია არ გაერემონტებინათ. თბილისის სტადიონის მიმართ უეფა-ს მკაცრი მოთხოვნებით დაშინებულებმა ერთი კი გავიფიქრეთ, ნუთუ კრაიოვაში კომისარი არ გამოუგზავნიათო, მაგრამ ნანახი ასე ავხსენით — ალბათ საგანგებოდ მზადყოფნას იმ სტადიონებს თხოვენ, სადაც ეროვნული ნაკრებები თამაშობენ. პროვინციულ ქალაქებში კი მთავარია მოვლილი მოედანი, შხაპში ცხელი წყალი და პრეს-ლოჟა. მოკლედ, თუ გაისად ევროტურნირებზე საქართველოს რომელიმე სხვა გუნდი გავიდა, მაინცდამაინც „ნოუ კამპის“ აშენებას არ მოსთხოვენ.

კრაიოვაში საერთოდ არ იგრძნობოდა, რომ იქ უეფას თასის მატჩი უნდა გამართულიყო. ამაზე აქა-იქ უხარისხო აფიშები იტყობინებოდნენ. თუ ვინმესთან საუბარში სიტყვა ფეხბურთზე ჩამოვარდებოდა, ალბათ თქვენები მოიგებენო, გვეტყოდა გულგრილად. კოლეგებისგან კი ის ვიცოდით (ჯერ კიდევ ბუქარესტის აეროპორტში შევიტყვეთ), რომ ამ მატჩის შედეგზე იყო დამოკიდებული აურელ ციკლიანუს „უნივერსიტატიას“ მწვრთნელად დარჩენა-არ დარჩენის საქმე. აქვე ვიტყვით, რომ მატჩის მიწურულს „დინამომ“ მეორე გოლი რომ გაიტანა მაყურებელთა ერთი ნაწილი წამოხტა და ციკლიანუს ლანძღვა დაიწყო, მეორე ნაწილმა კლუბის პრეზიდენტს კმეტარუს აუტეხა ერთი ამბავი. მათ განრისხებულ მონოლოგებშიც მწვრთნელის გვარი ხშირად ისმოდა. მატჩის შემდგომ, პრეს-კონფერენციის მერე კი გასასვლელში ასეთი რამ ვიხილეთ, პოლიციის მწკრივს უკან გულშემატკივრებს მოეყარათ თავი, როგორც კი კიბის თავზე ციკლიანუ გამოჩნდა, შეკრებილებმა საშინელი გუგუნი მორთეს და საბრალო მწვრთნელს ისღა დარჩენოდა, სასწრაფოდ სტადიონის დირექციისკენ შეეხვია. როგორც ჩანს, კმეტარუს მოუწევს ყოფილი თანაგუნდელის დათხოვნა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან თავისი ავტორიტეტი და კლუბის მეპატრონე-სპონსორის გეორგე ფაუნესკუს კეთილგანწყობა ძველ მეგობრობას შესწიროს. როდიონ კმეტარუ კრაიოვაში პატივცემული პირვონება რომ არის ეს ძნელი შესამჩნევი არ გახლავთ. ქალაქში დადიოდა რამდენიმე ავტობუსი, რომელთაც დიდი ასოებით ეწერა — „როდიონ კმეტარუს ავტობუსი“, იმ სასტუმროში კი სადაც გულშემატკივართა და ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი ვიყავით გაჩერებული (ყოფილი ცკ-ს სასტუმრო) კმეტარუ ისე დადიოდა, კაცი საკუთარ სამფლობელოში რომ გაივლის.

ზემოთ „უნივერსიტატიას“ სპონსორი ფაუნესკუ ვახსენეთ. ეს კაცი ბუქარესტში ცხოვრობს და დიდი ფულის პატრონია. მას ორი ძმაც ჰყოლია, ორივე მდიდარი. ერთი ძმა „სტიაუას“ გულშემატკივარი ყოფილა, მეორე „დინამოსი“, მაგრამ რადგან პირველი არმიის გუნდია მეორე კი პოლიციის, ძმებს მათი პატრონობა ვერ გაუხერხებიათ, მესამე ძმას, გეორგეს კი კრაიოვას გუნდი ჰყვარებია და პატრონობს კიდეც. ოფიციალურად ფაუნესკუ ექსპორტ-იმპორტის დარგში მოღვაწეობს თუმცა ხალხის თქმით არაოფიციალური შემოსავალიც აქვს.

...რუმინელმა მაყურებელმა თბილისელთა გუნდი ტაშით გააცილა, თავისი — სტვენით. ერთმა ფანმა, ქართველ გულშემატკივარს კლუბის დროშა საქართველოს დროშაში გაუცვალა, შემდეგ კი სტადიონის გასასვლელში დროშის ტარი თავჩაზრილ გიგა კრაიოვიანუს სულ ცხვირწინ ატრიალა. გამარჯვებულმა თბილისელებმა სასტუმროს რესტორანში გამარჯვების სადღეგრძელო ვთქვით და ბუქარესტის აეროპორტისკენ გამოვეშურეთ.

ილია ბაბუნაშვილი

რედაქცია მადლობას უხდის თბილისის „დინამოსა“ და სპორტის მოყვარულთა კლუბ „მეხუთის“ ხელმძღვანელობას ჩვენი კორესპონდენტების რუმინეთში მივლინებისთვის

## ჩემპიონთა თასი

**შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩები. 24 აგვისტო**

სერვეტი (შვეიცარია) — **სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი)** 1:1 (1:4)
**გიოტებორგი (შვედეთი)** — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) 2:0 (0:1)
**გალათასარაი (თურქეთი)** — ავენირი (ლუქსემბურგი) 4:0 (5:1)
ვაც სამსუნგი (უნგრეთი) — **პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი)** 1:2 (0:3)
**კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია)** — მაკაბი (ხაიფა, ისრაელი) 3:1 (2:1)
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — **ა.ე.კ. (ათენი, საბერძნეთი)** 0:1 (0:2)
**ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)** — ლეგია (პოლონეთი) 4:0 (1:0)
**დინამო (კიევი, უკრაინა)** — სილკებორგი (დანია) 3:1 (0:0)

**ჩემპიონთა ლიგის კალენდარი**

**A ჯგუფი:** გალათასარაი (თურქეთი), მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), გიოტებორგი (შვედეთი), ბარსელონა (ესპანეთი).
**B ჯგუფი:** ბაიერნი (გერმანია), დინამო (უკრაინა), სპარტაკი (რუსეთი), პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი).
**C ჯგუფი:** სტიაუა (რუმინეთი), ჰაიდუკი (ხორვატია), ბენფიკა (პორტუგალია), ანდერლეხტი (ბელგია).
**D ჯგუფი:** მილანი (იტალია), კაზინო (ავსტრია), ა.ე.კ. (საბერძნეთი), აიაქსი (ჰოლანდია).

**14 სექტემბერი:** მანჩესტერ იუნაიტედი — გიოტებორგი, ბარსელონა — გალათასარაი; დინამო — სპარტაკი, პარი სენ-ჟერმენი — ბაიერნი; ჰაიდუკი — ბენფიკა, ანდერლეხტი — სტიაუა; კაზინო — ა.ე.კ., აიაქსი — მილანი
**28 სექტემბერი:** გალათასარაი — მანჩესტერ იუნაიტედი, გიოტებორგი — ბარსელონა; ბაიერნი — დინამო, სპარტაკი — პარი სენ-ჟერმენი; სტიაუა — ჰაიდუკი, ბენფიკა — ანდერლეხტი; მილანი — კაზინო, ა.ე.კ. — აიაქსი
**19 ოქტომბერი:** გიოტებორგი — გალათასარაი, მანჩესტერ იუნაიტედი — ბარსელონა; სპარტაკი — ბაიერნი, დინამო — პარი სენ-ჟერმენი; ბენფიკა — სტიაუა, ჰაიდუკი — ანდერლეხტი; ა.ე.კ. — მილანი, კაზინო — აიაქსი
**2 ნოემბერი:** გალათასარაი — გიოტებორგი, ბარსელონა — მანჩესტერ იუნაიტედი; ბაიერნი — სპარტაკი, პარი სენ-ჟერმენი — დინამო; სტიაუა — ბენფიკა, ანდერლეხტი — ჰაიდუკი; მილანი — ა.ე.კ., აიაქსი — კაზინო
**23 ნოემბერი:** გიოტებორგი — მანჩესტერ იუნაიტედი, გალათასარაი — ბარსელონა; სპარტაკი — დინამო, ბაიერნი — პარი სენ-ჟერმენი; ბენფიკა — ჰაიდუკი, სტიაუა — ანდერლეხტი; ა.ე.კ. — კაზინო, მილანი — აიაქსი
**7 დეკემბერი:** მანჩესტერ იუნაიტედი — გალათასარაი, ბარსელონა — გიოტებორგი; დინამო — ბაიერნი, პარი სენ-ჟერმენი — სპარტაკი; ჰაიდუკი — სტიაუა, ანდერლეხტი — ბენფიკა; კაზინო — მილანი, აიაქსი — ა.ე.კ.

## თასების თასი

**შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩები. 25 აგვისტო**

**ბრანიკი (მარიბორი, სლოვენია)** — ნორმა (ტალინი, ესტონეთი) 10:0 (4:1)
შაანი (ლიხტენშტეინი) — **პირინი (ბულგარეთი)** 0:1 (0:3)
**ტირანა (ალბანეთი)** — ფანდოკი (ბობრუისკი, ბელარუსი) 3:0 (1:4)
**ომონია (ნიქოზია, კვიპროსი)** — ტილიგული (ტირასპოლი, მოლდოვა) 3:1 (1:0)
F 91 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — **ფერენცვაროში (უნგრეთი)** 1:6 (1:6)
**სლიგო როვერსი (ირლანდია)** — ფლორიანა (მალტა) 1:0 (2:2)
**ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა)** — ბერი თაუნი (უელსი) 6:0 (1:0)
ოლიმპია (რიგა, ლატვია) — **ბოდო გლიმტი (ნორვეგია)** 0:0 (0:6)
ნორჩიოპინგი (შვედეთი) — **ვიქტორია (ჟიჟკოვი, ჩეხეთი)** 3:3 (0:1)
**ჰ.ი.კ. (ჰელსინკი, ფინეთი)** — B 71 სანდური (ფარერები) 2:0 (5:0)
**მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი)** — ი.ბ.კ. (კეფლავიკი, ისლანდია) 4:1 (2:1)
**ტატრანი (პრეშოვი, სლოვაკეთი)** — ბანგორი (ჩრდ. ირლანდია) 4:0 (1:0)

## უეფას თასი

**შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩები. 23 აგვისტო**

უნივერსიტატია (რუმინეთი) — **დინამო (თბილისი, საქართველო)** 1:2 (0:2)
კორკ სიტი (ირლანდია) — **სლავია (პრაღა, ჩეხეთი)** 0:4 (0:2)
ჰაფნარი (ფარერები) — **მოზერუელი (შოტლანდია)** 1:4 (0:3)
იაცი (ფინეთი) — **კოპენჰაგენი (დანია)** 0:4 (1:0)
**სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)** — პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) 3:0 (2:0)
**აკრანესი (ისლანდია)** — ბანგორ სიტი (უელსი) 2:0 (2:1)
**მიუპა-47 (ფინეთი)** — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 0:1 (3:0)
ფლორა (ტალინი, ესტონეთი) — **ოდენსე (დანია)** 0:3 (0:3)
შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) — **ლილესტრიომი (ნორვეგია)** 2:0 (1:4)
**ტრელებორგი (შვედეთი)** — გოტუ (ფარერები) 3:2 (1:0)
შემროკ როვერსი (ირლანდია) — **გურნიკი (ზაბჟე, პოლონეთი)** 0:1 (0:7)
**აი.კ. (სტოკჰოლმი, შვედეთი)** — რომარი (მაჟეიკიაი, ლიტვა) 2:0 (2:0)
**ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)** — ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 3:1 (0:1)
აბერდინი (შოტლანდია) — **სკონტო (რიგა, ლატვია)** 1:1 (0:0)
**გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი)** — ინტერი (კარდიფი, უელსი) 6:0 (2:0)
**რუსენბორგი (ნორვეგია)** — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 6:0 (2:1)
მურა (მურსკა-სობოტა, სლოვენია) — **არაუ (შვეიცარია)** 0:1 (0:1)
შუმენი (ბულგარეთი) — **ანორთოსისი (კვიპროსი)** 1:2 (0:2)
**ბეკეშჩაბა (უნგრეთი)** — ვარდარი (მაკედონია) 1:0 (1:1)
ლევსკი (ბულგარეთი) — **ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია)** 1:2 (2:3)
ტურანი (აზერბაიჯანი) — **ფენერბაჰჩე (თურქეთი)** 0:2 (0:5)
**რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი)** — ლა ვალეტა (მალტა) 1:1 (6:2)
ზიმბრული (კიშინიოვი, მოლდოვა) — **კიშპეშტ ჰონვედი (უნგრეთი)** 0:1 (1:4)
არარატი (ერევანი, სომხეთი) — **ცსკა. (სოფია, ბულგარეთი)** 0:0 (0:3)
ჰიბერნიანსი (მალტა) — **დინამო (მინსკი, ბელარუსი)** 4:3 დ.დ. (1:3)
**აპოლონი (კვიპროსი)** — ტეუტა (ალბანეთი) 4:2 (4:1)
აპოელი (ბერ-შევა, ისრაელი) — **არისი (სალონიკი, საბერძნეთი)** 1:2 (1:3)

# უსახელო უშიშარი

თბილისის „დინამოს“ მომავალი მეტოქის ე.წ. პასპორტის გაცნობისას უპირველეს ყოვლისა თვალში გეცემათ ის, რომ კლუბმა უკვე არაერთხელ შეიცვალა სახელი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჩვენი უცხოელი კოლეგებიც კი დაიბნენ და ტიროლის მხარის ეს გუნდი სხვადასხვა გამოცემებში სხვადასხვანაირად მოიხსენიება. ჩვენც ყველაზე გავრცელებული სახელი — „ინსბრუკი“ ამოვირჩიეთ და სწორედ ასე მოვიხსენიებთ კლუბს, რომელიც ამ განხრით დასავლურ ფეხბურთში იშვიათი გამონაკლისია და ამით ჩვენებურ გუნდებს უფრო ჩამოჰგავს, თუმცა საქართველოსგან განსხვავებით სახელის შეცვლა იქ პოლიტიკურ ცვლილებებზე არაა დამოკიდებული.

...1971 წელს ავსტრიის საფეხბურთო ისტორიაში მეორედ ჩემპიონი არავენური გუნდი — ინსბრუკის „ვაკერი“ გახდა. ზალცბურგის „კაზინოს“ ახლანდელი მწვრთნელის ოტო ბარიჩის თავკაცობით ინსბრუკელებმა მაშინ მთელი ჩემპიონატი ცხრილის სათავეში დაჰყვეს და საბოლოო გამარჯვებაც იზეიმეს. მაგრამ გუნდის მეპატრონეებს კარგად ახსოვდათ 1965 წელი, როცა ვენური კლუბების ჰეგემონია პირველად ლინცის „ლასკმა“ დაარღვია, თუმცა მალე უსახსრობის გამო ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა. ამიტომაც იმავე წელს „ვაკერი“ (ვაკერი გერმანულად უშიშარს ნიშნავს) ინსბრუკთან მდებარე ქალაქ ვატენსის გუნდს შეუერთდა, ამ პატარა ქალაქში მდებარე უმდიდრესი, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ძვირფასი ლითონების ფირმა „სვაროვსკი“ კი სპონსორობაზე დაიყოლია და... 70-იან წლებში „სვაროვსკი ვაკერი“ კიდევ ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ამდენჯერვე ეროვნულ თასსაც დაეპატრონა. იმ დროს კლუბში მოწვეულ ვარსკვლავებთან ერთად ავსტრიის ნაკრების ცნობილი მეკარე კონსილია და თავდამსხმელი კურტ იარა ბრწყინავდნენ.

80-იანი წლების დასაწყისში გუნდის საქმეები უკან წავიდა, თუმცა ამან დიდი ხანი არ გასტანა და უკვე 5-6 წელიწადში პაკულტის, იუგოსლაველი მეკარის ივკოვიჩისა და გერმანელი ჰანსი მიულერის წყალობით „ტიროლად“ წოდებულმა კლუბმა ისიც მოახერხა, რაც წინა ათწლეულში არაფრით გამოსდიოდა — წარმატებით გამოვიდა უეფას თასზე, სადაც მხოლოდ ნახევარფინალში გამოვარდა. გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ „ტიროლის“ ორრაუნდიანი ბრძოლა მოსკოვის „სპარტაკთან“, როცა ჰანსი მიულერის ბრწყინვალე თამაშს რუსებმა ჯერაფერი მოუხერხეს და დამარცხდნენ. იმ ხანად კლუბის ფინანსური შესაძლებლობები საგრძნობლად გაიზარდა და ამით იგი ვენის „ავსტრიასა“ და „რაპიდსაც“ კი ასწრებდა.

ბოლო წლებში სახელის ცვლილებებთან ერთად კლუბის დამახასიათებელ ნიშნად მწვრთნელების წამდაუწუმ ცვლაც გახდა. 1992 წლის ზამთარში გუნდი დატოვა ცნობილმა მწვრთნელმა ერნსტ ჰაპელმა, თუმცა ეს კიდევ არაფერი — კლუბის სპონსორობაზე უარი თქვა „სვაროვსკიმ“. ასე რომ, გასაკვირი ალარავისთვის იყო, როცა პირველი წრის ლიდერი „ვაკერი“ ჩემპიონატის ბოლოს მესამე ადგილზე გავიდა. მალე ჰაპელის შემცვლელი გერმანელი ჰორსტ ჰრუბეშიც გაანთავისუფლეს. იგი ბრანკო ელსნერმა შეცვალა, თუმცა მანაც მხოლოდ „დაგეგმილი“ ნახევარი წელი გაძლო და ადგილი ვალტერ სკოსიკს დაუთმო. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 1993 წლის თასის გათამაშება მოიგო, როცა ფინალში „რაპიდი“ 3:1 დაამარცხა. იმავე წელს ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირობა ჩეხმა თავდამსხმელმა ვაცლავ დანეკმა მოიპოვა (2[illegible] გოლი). დანეკის გარდა ბოლო წლებში გუნდში სხვა ლეგიონერებიც თამაშობდნენ: არგენტინელი ნესტორ გოროსიტო, ჰოლანდიელი მარიო ბეენი, მაგრამ გუნდს ვერაფრით მოერგნენ.

1993-94 სეზონი „ინსბრუკმა“ მეოთხე ადგილზე დაამთავრა და ამჯერად დანეკი 12 გოლით ბომბარდირთა სიაში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. კლუბის მეპატრონენი არ დაკმაყოფილდნენ ასეთი შედეგით და წლევანდელი სეზონის დაწყების წინ გუნდში კარდინალური ცვლილებები მოახდინეს — ეტყობა, ფული ჯერ კიდევ საკმაოდ გააჩნიათ. „ინსბრუკის“ უმთავრესი შენაძენი... კიდევ ერთი ახალი მწვრთნელი გამოდგა. წარსულში ცნობილი ავსტრიელი ფორვარდი ჰანს კრანკლი, ვინც წინა სეზონში „მიოლდინგს“ წვრთნიდა, ახლა თბილისელთა მეტოქეს გადასცემს თავის უდიდეს გამოცდილებას. ახალი ფეხბურთელების ყიდვაც სწორედ კრანკლის რეკომენდაციებით მოხდა. გუნდიდან წასული რომან მალიხის, პოლონელი მცველის ანჯეი ლესიაკის, კრისტოფ ვესტერტალერისა და ვაცლავ დანეკის ნაცვლად „ინსბრუკის“ ღირსებას ამჟამად იცავენ: „ნიურნბერგიდან“ გადმოსული გერმანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 28 წლის მანფრედ შვაბლი, ავსტრიის ნაკრების „დირიჟორი“ პეტერ შტიოგერი, 20 წლის ამომავალი ვარსკვლავი ჰარალდ ჩერნი, ვინც წინა სეზონში მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობდა, „მიოდლინგიდან“ კრანკლს გამოყოლებული მეკარე ანდრეას კოხი და 33 წლის სენეგალელი ცენტრფორვარდი სულეიმან სანე, რომელიც ბოლო ოთხი წელი „ვატენშაიდში“ თამაშობდა. რა შეიძლება ითქვას „ინსბრუკის“ ახალბედებზე? ორიოდ კვირის წინ მოსკოვში ყოფნისას საშუალება მქონდა მენახა ავსტრიისა და რუსეთის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის ტელერეპორტაჟი. შეხვედრა ფეხბურთიდან ვალტერ შახნერის გაცილებას მიეძღვნა. ცნობილმა თავდამსხმელმა მხოლოდ 17 წუთი დაჰყო მოედანზე და იგი სწორედ ჰარალდ ჩერნიმ შეცვალა, თუმცა ვერც მან, ისევე როგორც მთელმა ავსტრიის ნაკრებმა, ვერ გაამართლა იმედები — ავსტრია 0:3 დამარცხდა. რაც შეეხება მეორე ინსბრუკელს, პეტერ შტიოგერს, იგი თავის გუნდშიც კი ყველაზე სუსტად გამოიყურებოდა და 58-ე წუთზე მწვრთნელმა პროხაზკამ იგი გამოცვალა. სულეიმან სანე კი... სჯობს რეზო არველაძეს მოვუსმინოთ: „შავკანიანი ცენტრფორვარდი სანე „ვატენშაიდის“ შეტევების სული და გული იყო. შარშან „კიოლნის“ შემადგენლობაში მომიწია მის წინაალმდეგ თამაში. ის მატჩი 2:3 წავაგეთ და ერთი გოლი სანემ გაგვიტანა. ასაკის მიუხედავად, სენეგალელი ძალზე სწრაფია, კარგად ფარავს ბურთს და საგოლე მომენტებსაც კარგად იყენებს“.

...წლევანდელი ჩემპიონატი „დინამოს“ მეტოქემ დიდი ანგარიშით მოგებით დაიწყო: 3 აგვისტოს შინ „ლინცს“ სძლია 3:0. სამი დღის შემდეგ „ინსბრუკი“ ვენაში ფრედ 0:0 ეთამაშა „აუსტრიას“, 13 აგვისტოს შინ მოულოდნელად დამარცხდა „ფორვერტსთან“ 0:1, თუმცა შემდეგივე შეხვედრაში 20 აგვისტოს გუნდმა აინზლაურა დანაკლისი და სტუმრად კრანკლის ყოფილი გუნდი „მიოდლინგი“ 3:2 დაამარცხა. ახლა „ინსბრუკი“ 5 ქულით მეორე ადგილზეა და ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ „შტურმს“. 13 სექტემბრამდე გუნდი კიდევ ორ თამაშს გამართავს. როგორც შევიტყვეთ, 3 სექტემბრის მატჩს ვენაში, „რაპიდსა“ და „ინსბრუკს“ შორის, თბილისელთა მთავარი მწვრთნელი გივი ნოდია დაესწრება.

**ზურაბ მეძველია**

> **„ინსბრუკი“.** დაარსდა 1913 წელს სახელწოდებით „ვაკერი“. 1971 წელს გაერთიანდა კლუბ „ვატენსთან“ და ეწოდა „სვაროვსკი ვაკერი“. 1986-92 წლებში ერქვა „სვაროვსკი ტიროლი“, 1992-93 წლებში — „ვაკერ ინსბრუკი“, 1993-94 სეზონში კი „ინსბრუკ კაპილარის ტიროლი“. ამჟამად მოიხსენიება, როგორც „ინსბრუკი“.
> ავსტრიის ჩემპიონი: 1971, 72, 73, 75, 77, 89, 90
> ავსტრიის თასის მფლობელი: 1970, 73, 75, 78, 79, 89, 93
> მიტროპის თასის მფლობელი: 1975, 76
> საუკეთესო გამარჯვება ავსტრიის ჩემპიონატში — 1981, „კაზინო“ 9:0
> სტადიონი — ტივოლი (17270)



ჰანს კრანკლი

### „ინსბრუკი“ ევროპულ ტურნირებში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1968-69 | უთ | 1-32 | „ინსბრუკი“ — „აინტრახტი“ ფრანკფურტი 2:2, 0:3 |
| 1970-71 | თთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „პარტიზანი“ ალბანეთი 3:2, 2:1 |
| | | 1-8 | „რეალი“ მადრიდი — „ინსბრუკი“ 0:1, 2:0 |
| 1971-72 | ჩთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „ბენფიკა“ პორტუგალია 0:4, 1:3 |
| 1972-73 | ჩთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „დინამო“ კიევი, სსრკ, 0:1, 0:2 |
| 1973-74 | ჩთ | 1-16 | ც.ს.კ.ა. ბულგარეთი — „ინსბრუკი“ 3:0, 1:0 |
| 1974-75 | უთ | 1-32 | „ინსბრუკი“ — „ბორუსია“ მიონხენგლადბახი 2:1, 0:3 |
| 1975-76 | ჩთ | 1-16 | „ბორუსია“ მიონხენგლადბახი—„ინსბრუკი“ 1:1, 6:1 |
| 1976-77 | უთ | 1-32 | „ინსბრუკი“ — „სტარტი“ ნორვეგია 2:1, 5:0 |
| | | 1-16 | „ინსბრუკი“ — „ვიდეოტონი“ უნგრეთი 1:1, 0:1 |
| 1977-78 | ჩთ | 1-16 | „ბაზელი“ შვეიცარია — „ინსბრუკი“ 1:3, 1:0 |
| | | 1-8 | „სელტიკი“ შოტლანდია — „ინსბრუკი“ 2:1, 0:3 |
| | | 1-4 | „ინსბრუკი“ — „ბორუსია“ მიონხენგლადბახი 3:1, 0:2 |
| 1978-79 | თთ | 1-16 | „ზაგლემბე“ პოლონეთი — „ინსბრუკი“ 2:3, 1:1 |
| | | 1-8 | „იფსვიჩ თაუნი“ ინგლისი — „ინსბრუკი“ 1:0, 1:1 დ.დ. |
| 1979-80 | თთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „ლოკომოტივი“ კოშიცე 1:2, 0:1 |
| 1983-84 | თთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „კიოლნი“ გფრ 1:0, 1:7 |
| 1984-85 | უთ | 1-32 | „რეალი“ მადრიდი — „ინსბრუკი“ 5:0, 0:2 |
| 1985-86 | უთ | 1-32 | „ლიეჟი“ ბელგია — „ინსბრუკი“ 1:0, 3:1 |
| 1986-87 | უთ | 1-32 | „ინსბრუკი“ — „სრედეცი“ ბულგარეთი 3:0, 0:2 |
| | | 1-16 | „ინსბრუკი“ — „სტანდარდი“ ბელგია 2:1, 2:3 |
| | | 1-8 | „სპარტაკი“ მოსკოვი, სსრკ — „ინსბრუკი“ 1:0, 0:2 |
| | | 1-4 | „ტორინო“ იტალია — „ინსბრუკი“ 0:0, 1:2 |
| | | 1-2 | „გიოტებორგი“ შვედეთი — „ინსბრუკი“ 4:1, 1:0 |
| 1987-88 | თთ | 1-16 | „სპორტინგი“ ლისაბონი — „ინსბრუკი“ 4:0, 2:4 |
| 1989-90 | ჩთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „ომონია“ კვიპროსი 6:0, 3:2 |
| | | 1-8 | „დნეპრი“ დნეპროპეტროვსკი — „ინსბრუკი“ 2:0, 2:2 |
| 1990-91 | ჩთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „კუუსუსი“ ფინეთი 5:0, 2:1 |
| | | 1-8 | „რეალი“ მადრიდი — „ინსბრუკი“ 9:1, 2:2 |
| 1991-92 | უთ | 1-32 | „ინსბრუკი“ — „ტრომსო“ ნორვეგია 2:1, 1:1 |
| | | 1-16 | პ.ა.ო.კ. საბერძნეთი — „ინსბრუკი“ 0:2, 0:2 |
| | | 1-8 | „ინსბრუკი“ — „ლივერპული“ ინგლისი [illegible]:2, 0:4 |
| 1992-93 | უთ | 1-32 | „ინსბრუკი“ — „რომა“ იტალია 1:4, 0:1 |
| 1993-94 | თთ | 1-16 | „ინსბრუკი“ — „ფერენცვაროში“ უნგრეთი 3:0, 2:1 |
| | | 1-8 | „ინსბრუკი“ — „რეალი“ მადრიდი 1:1, 0:3 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ხუთშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)